


უბანი 10 კან.



№ 10 (33)

გზს. „კომუნისტი“-ს სალიტ.-სამხატვრო ორგანიზაციის დახატება

№ 10 / 33

დ. თუხაძის ნაწარმი

# საგაყავს ულო მილოცვა

სასწავლებელში დაირეკა უკანასკნელი გაკეთილის გასათავებელი ზარა...  
შეიქნა უვიღო-ხივილი... მხიარულება...  
მაღე იქ ველარ დაეტია და გარედ გადმოიფრქვა.

ქუჩაც აფერადდა... აქრიაშულდა...  
ბავშვები ისე გამოდიოდნენ სასწავლებლის ალაყაფის კარიდან, თითქოს ყვავილების მდინარეს ჰქონია პირი შეკრული.., ახლა აპირთავებულა და ვადმოდგინილა...

სხვა და სხვა ქუჩებში ნაკადულმად მიიფანტ-მოიფანტნენ...

ერთი ჯგუფი ბაღებისა ერთმანეთს არა ჰპორდებოდა. ერთად მოდიოდნენ შეხმატ-კბილებით...

წინ გაუბრძინა ყვავილების გამყიდევმა...  
— ეგები ვის უნდა, ეგები!..  
თვალი დაჰრჩიათ ზედა...

ჯიბეები გაისინჯეს. ეგება გროშები უჭყო-ღეთ და იყიდონ...

ეგები ხომ პირველი ღიმილია გაზაფხულისა. იყიდეს რამდენიმე კონა..  
ჰყნოსავდნენ.

\* \*

სიჩუმე ჩამოვარდა მოთქართქარე ბავშვებში. არ ვიცო, ყვავილებსა აქვს ეს თვისება თუ რა არის, შემწნეულია, რომ როდესაც მშვენიერს სურათს ფუფურებთ-მყის გრუნდებით...

შემოგვეხვევიან ნათელი ფიქრები...  
გავიტაცებენ იმ ბილიკებისკენ, რომელთაც მოვეყვართ ძვირფას მოყვასებთან...

ასე დაემართა ჩვენს ყმაწვილებსაც. ვილაცა ქალმა გვერდით გაუარა...

— თეიმურაზ, ეს ქალი ქსენიას არა ჰვავს? მართლა, რა ნაირადა ჰვავს დაეთანხმნენ სწორები.

შეიძლება ის ქალი მაგრე რიგად არც კი ჰვავდა...

იქნება იების ფოთლებმა მოაგონეს ქსენია არ ვიცო... ერთი კი ცხადია...

ყველა გაიტაცა ქსენიაზე მოგონებებმა...  
— რეერთი ხანია, რაც ქსენია ჩენი სასწავლებლიდან სხვაგან გადავიდა... ბევრს მას შემდეგ აღარ გვიანხანია...

— პირადად ვართ მასთან...  
— აქაო და აღარ გვასწავლისო-განა ისე უნდა გადავივიწყოთ საყვარელი მასწავლებელი?

— მოდი, წავიდეთ სანახავად.  
— როდისა?..  
— თუნდა დღესა...  
— წვივდით, წავიდეთ!.. — დასკვნეს ერთხმად..

— ეგებით მიულოცოთ გაზაფხული...  
გაუდგნენ გზასა...

\* \*

— ქსენიასთანა მასწავლებელი ორი არა გვეყავს...

— კი, ციციო, ქსენია კარგია, მაგრამ ქეთევანმა რაღა დააშავა?..

— ერიზა, სად ქეთევანი, სად ქსენია...  
ქსენიას ერთი შეალერსება ერთ რამედა ჰღირს..

ქეთევანს სითბო აკლია, გაიგე?.. მართალია ისიც გველოლიავენა, მაგრამ მაინც სულში ვერ ჩავვწოდომია...  
— ჰაი, ჰაი, რომ ქსენია სულ სხვა ქალია... ის რომ ყველას არ უყვარდეს, განა მას კი არ გამოუტყვოდნენ სახელსა?..  
რომელ მასწავლებელს არა აქვს სახელი გამოცვლილი...

გაახსენდათ ყველა ის მასწავლებლები, რომელთაც გამოცვლილი სახელით იხსენიებდნენ..  
— მასწავლებელი ტიტო ხომ კარგია... გვიყვარს კიდევ... გამოცვლილი სახელით მაინც დავაჯილდოვეთ... „თონის საჩხრეკელს“ ვეძახით...

— „ჩაწეული ლამა“ ხომ ზედ გამოჰრილია ბიძინაზე...

ჯერ ისედაც ბინდის ფერია შეხედულობით და ბუნდ სათვალეებს, რომ წამოისკუპებს ცხვირზე-გგონია ლამა ბეჭტავსო...

— „უჭრუმსაღებო, ანასტასიას „სუტ-კენინა“ ექვენი დაარქვით განა?... სთქვა ანგალ ვასომ, თითქოს უკვირდა... ეს როგორ მოხდა, რომ სხვამ ჩემზე მოსწრებული სახელი გამოიგონაო...

\* \*

გაგრძელდა გზა... ბოლო არ უჩანდა... როგორც იყო მიატანეს სახლს, საცა მასწავლებელი სცხოვრობდა...

დარეკეს ზარი...  
— დაგ-ღუგ!.. დად-ღუგ!.. — ფანცქალებენ მოუთმენლად მათი გულები...

უცბამ გაულოთ კარი. იკითხეს ქსენია.

— შინ არ არისო-მიუგო დიასახლისმა...  
გულში ეკლად ეცათ მისი ნათქვამი... გამობრუნებას აპირებდნენ, მაგრამ ერთმა მოისახრა...

— ყვავილები მაინც დაუტოვოთ...  
— ბართიცი მივწერთო...

სთხოვეს დიასახლისს შეეშვა ისინი მასწავლებლის ოთახში.

დიასახლისი ხალისით წაუძღვა წინა და შეულო კარი...

\* \*

— დედაც, დედაც, რა ღარიბულად უცხოვრია. მისს ოთახს არ ამშვენებდა:

სპარსული ხალიჩები...  
აბანოზის მოხვევრდებული დგამი...  
სარეცლის წინ ხატაური არ ეფინა...

კედელზე ჩამოკიდებულ მისს გახუნებულს „პალტოს“ წაიე არა ჰქონია შემოღობული...  
არ მოიწონებდა ეს ოთახი თავს სალუქი სამკაულით...

სულ სხვა რამით იყო იგი მდიდარი...  
ამ სიმდიდრეს შეადგენდა:

წიგნები...  
ბავშვების ნაძერწ-ნახატი...  
მათი სურათები...

\* \*

რგვალ მაგიდაზე იდო კალოს ნახჭი (მოდელი) ლამაზად იყო გამოძერწილი...

ჩაშლილი ძნებო...  
ზედ ორი კვერი ხარ კამჩებით...  
კვერზე მდგომიარე ბიჭები...

აქა იქილენ ვარიები ეპარებთან ხორბლის ასაკენკად...

კალოს გასწვრივ ფერად ქალაღლებსაგან გაკეთებული ლავარდი ცა... მზე...

წარწერა ჰმოწმობდა, რომ კალო პირველი ჯგუფის ნახელოვნები ყოფილა...

— ეს რა არის!.. — წუნი დასდო მაყვალამ...  
ჩვენგან გამოძერწილი ნარიყალს ციხე განა არა სჯობია, ამასა?..

— ალუ... ნეკე არ მიკბინო... — დასცინა ციციონომ... ერთი ციციკა ბავშვებს ემეტოქები?.. იმ წოლოვანებამო მყოფთათვის ეს კალო იშვიათი მიღწევაა...

### ცეცხლის ეტლებით

აყვა ქარიშხალს, ქარში აქვს ბინა, გაყვა ქარს, ქარმა შეასხა ფრთები, და დედამიწა შემოირბინა აქარავენებულ ცეცხლის ეტლებით მისი დედა ცხვრება მრუდღე, მარად წამებამ მას მისცა ტონი, რომ გაერღვია ბორკილი—ზღუდღე რევოლუციის შმაგ ელექტრონით. რაც თავი ქროლვას გადაავიწყა, მებრძოლს სიცოცხლე არ ენანება; წამებისვან, რომ იხსნას მიწა სურს ბორკეტების გავერანება. ბნელ ღამეს ყველგან ერგენა ურჩათ, მომსკდარი ქარა წვიმა სეტყვებით, წითელ დროშის ქვეშ აჯანყდა ქუჩა და დაითოშა სისხლის წვეთებით... მტერი ცდებს ახდენს. ისევ იგონებს „სიკვდილის სხივებს“ თავგამეტებით... რევოლიცია ამხედრებს მონებს აქარავენებულ ცეცხლის ეტლებით... მე მეჩვენება ისევ იწყება იქ... ქარიშხალმა ფრთები გაშალა, მიწა აღშია! მიწა იწყება! და ღამე-ბურუსს ფანტავს მაშხალა. გაყვე ქარიშხალს, ქარში მაქვს ბინა, გაყვე ქარს, ქარმა შემასხა ფრთები, ეტლებმა ისევ გადაამარბინა კარპატის გაღმა, გულ-გააფრთებით. ძმებს გამარჯვებულთ ბერლინში ვხედავ, იქ ადფეთქეს ღამე ლაღუმით, ვხედავ მსოფლიოს ძვირფასო დედავ, უახლოვდება დღე დიდ აღლუმს!

**ფილიპე ნაროუშვილი.**

\* \*

სამაცადინო მაგიდაზე შენიშნეს მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალები. დაუწყეს თვლიერება... ილიუსტრაციები მოეწონათ... რაფიელ ერისთავის ტიპოური კერპი „თედუა“ იყო დასურათებული... კარიკატურებიც ერა... მათი ბრწყინვალეობა თათქარიძენი იქა ბრძანდებოდნენ... — ციცილო, ჩვენი შარშანდელი ჟურნალიცა ჰქონია ქსენიას შენახული, —ალტაცებით წამოიძახა თეიმურაზმა... ციცილომ და თეიმურაზმა დაუწყეს ფურცვლა თავიანთ ჟურნალს, რომელიც შედგენილი იყო იმდენის სიყვარულით... გატაცებით... გულმოდგინეთ... ბევრი იცინეს თავიანთ წერილებზე... უსუსურ ბავშვების ტიტინათ მოეჩვენათ იგი, თუმცა სულ შეიდიოდეთვე გასულიყო მას აქეთ... ახლა გაზრდილები, უფრო მომწიფებული არიან... ახლა აღარ დასწერენ ისეთს წყალწყალას.. გულუბრყვილონი!.. გაიფლის დრო და კიდევ დღევანდელს ნა-ოოდვილარზე იცინებენ ბევრსა...

\* \*

ოთახის კედლებზე ეკიდა საზოგადო მოღვაწეთა და ჯგუფ-ჯგუფად გადაღებულ მოწაფეთა სურათები.

ბავშვების სურათებში ქსენიაც ერია. ზოგან ერთი ციციქა, ბაჯაჯღანა გოგობიკებთან იყო გადაღებული. ზოგან მოზრდილებთან... რად უნდა ქსენიას სიმდიდრე?... რა შეედრება ამ სურათებს... ნაძერწს, ნახატებს... აღამაზებს ქსენია მოწაფეების სულსა და ისინიც უმშვენიერებენ ოთახს ნორჩი შემოქმედების ნაწარმოებით.

\* \*

კულრაქებმა ჩამოიღეს ერთი სურათი, რომელშიაც ქსენია უფრო კარგა იყო გამოსული, მიაყუდეს მაგიდის წიგნებზე და გარს დიდის ხელოვნებით შემოუმწკრიეს იის კონები...

\* \*

— აბა, დაეწეროთ წერილიცა... მაგრამ ვინ იკისრებდა... ადვილი ხომ არ არის ორ-სამ სტრიქონში გამოსთქვა ყველას გრძობები... ადამიანი იმის მეთედლის გამუღანებასაც ვერ ახერხებს, რასაც განიცდის გულის სიღრმეში... მით უფრო ეს სამძიმო იქნებოდა ბავშვებისთვის, რომელთა კალამი ჯერ ისევ მოუქნელი იყო... მაინც ციციქოს ყველაზე უკეთ ემარჯებოდა წერა... — ციცილომ დასწეროს, ციცილომ!... — უი, ვერა, ვერა... — ნეტავი არ მინდა უარი სთქვა... — დედა არ მომიკვდება გამიძნელებდა... ციცილოს ამხანაგები უფრო ჯიუტები აღმოჩნდნენ და გააბედინეს... მან აიღო კალამი და დაიწყო:

ტკბილო, ტკბილო მასწავლებელო; მოგვილოცინა გაზაფხული. მრავალ ჟამიერა. კარგი ხარ ძვირფასო, მაგრამ მაინც გემშურით. რად მიგვატოვეთ? როგორ გამოგვიმეტეთ? სხვა სასწავლებელში რად გადახვედით? ნუთუ ჩვენზე უკეთ ეცოდინებათ თქვენი ყალბი? „ჩვენსავით რომ შეგიყვაროს ვინ არის?...“

— ციცილო, მომეცი კალამი, ახლა მე განვაგრძობ, —შემუდარა თეიმურაზი, რომელიც წერის ეშხზე მოვიდა...

ციცილომ ხათრი არ გაუტეხა და გადასცა კალამი. თეიმურაზმა განაგრძო:

კარგო ქსენია! ეგება იმისთვის შემოგვიწყერი, რომ ვცელქობდით. მაგრამ შენ რომ არა გწყინდა! პირიქით, გვაქებდები: „თუ გსურთ ჯანმთელობა და ბედნიერება-იცინეთ, იგეჟმაქეთო“... ჩვენც ვასრულებდით თქვენს მოწოდებას...

არც თეიმურაზს დაათავებინეს. მასაც გამოსტაცეს კალამი. ონავარმა ზურაბმა წააწერა: მასწავლებელო, მე უკვე დაგვკვიანდი!

ციცილომ ამ სტრიქონს მიატმანსა: — არ დაუჯეროთ. არა! ხომ გახსოვთ ზურაბს ბაქიოზის მატრასაზე ვეძახდით.

ახლაც დაახეთქა-დაქვიანდა კი არა-უარესად ანცობს.

ავგიკლო, ავგიკლო. კვირა ერთი და ამის აბეზრობადღე ნიადაგო...

ზურაბმა არ დაუთმო და ახლა თვით მიაყოლა სირის კუდად:

— აი გიდი ჰა!.. იხტიბარი გამიტყდა და იმისთვის ამიღეს ყბადა, თორემ...

ანგალ ვასომ კი ანგულრად ჩაუიწყვიწა: — მე კი არაუფერს დაგიმაღაეთ, ძვირფასო!.. ძველებურის აღფრთოვანებით ვგიჟობ...

„მე იგივე ვარ მარად და მარად...“; კუ!.. კუ!..

— გავათათო, გავათათო... გვიგვიანდება... წერილი ციცილომ დაათავა:

— გააკეთებ მასწავლებელო იმდენს, რამდენი ყვავილიც გაიშლება ამ გაზაფხულს.. ნახვამდის...

ამის შემდეგ თვითელმა მოაწერა საკუთარი სახელი და გვარი.

უცნაური წერილი გამოვიდა. როდესაც გაუწაფავ მემუსიკეებს დირიჟორიც გამოუცდელი და მაჩანჩალა შეჭვდება, უეჭველია დაირღვევა ჰარმონია... თვითელი მემუსიკე ალთა-ბალთას უკრავს... იმ „მუსიკას“ დამსგავსა ეს წერილი...

\* \*

ყმაწვილები უკვე კარს მიადგნენ წასასვლელად, რომ ანგალ ვასომ წამოიძახა:

— მოდი ერთი კარგი ოინი უუთო ქსენიას. — რა ოინი? — ოთახი აუწეწოთ... — რომ ეწყინოს?... — თქვენგან არ მიკვირს. ქსენია და წყენა!.. ეს იამოვინება...

დატრიალდნენ ყმაწვილები. ოთახში ატორტმანდა, აზავთდა, ამთაგორდა ლაგამ-წამოყრილი სითამამე... ონავრობა... თეიმურაზმა მუთაქა სიგრძით დასლო... ზევიდან პალტო გადაჰხურა... თავზე პირსახოცი ხილაბანდად წააკრა: ვითომდა ვინმე ავადმყოფი წყესო.

ციცილომ სამივე სკამი ამოაყიარავა. მაყვალამ დერეფნიდან მაყალი შემოიტანა და ოთახის შუა იატაკზე დადგა...

ანგალ ვასომ კილობანში იპოვნა გამხმარი „სელიოლიცა“ და ჩამოკვიდა შუა ოთახში ელნათურაზე...

ერთხელ კიდევ მისეყვარლენ მებურაზები მასწავლებლის სურათსა და თქარქართ გაიკრიბნენ...

\* \*

ქსენია რომ დაბრუნდა სახლში, პირველად იგბმა მიიქციეს მისი ყურადღება. — ვინ უნდა ყოფილიყო, ასეთის ფარებით რომ შეუეკონინა ჩემი სურათი იებიტა განცეო!

ფებრით, ჰკითხულობდნენ მისი გაგანიერებუ-  
ლი თვალეები.

წერილიც შენიშნა.  
გაჰშალა წაიკითხა...  
სიხარული აუჯგვილდა გაცრეცილ სახეზე...  
თვალს არ აშორებდა წერილს, იებს...  
ამ წერილს შეინახავს როგორც იშვიათს  
განძს...

დაინახა საწოლზე ვითომ ავადმყოფად წა-  
მოწოლილი მუთაქა... მაყალი... სხვა ნაცელ-  
ქარიც... ბევრი იცინა...

ისე დაიბანდა სიხარულისგან, რომ „სელი-  
ოლკა“ აღარ შეუნიშნია, თუმცა მეტად თვალ-  
საჩინო აღავას ეკიდა...

მღელვარებით მოთენთილი მოსხლეტილივით  
დაეშვა საწოლზე და უმაღლე ჩაეძინა...

\* \*

ძილი გაგრძელება იყო სიცხადისა...  
ფერად, ოქროს ზმანებათა ნისლი გაეხვია...  
ესიზრმა, ვითომც, რაღაც სასწაულის ძალით  
მისი ოთახში ნაძვი ამოსულიყო.

ზედ ღაბუა ჩიტუნები შეხუნზლულიყენენ...  
თვითელ ჩიორას მისი ბურგალა მოწაფის  
სახე ჰქონდა...

ყველა ხავერდის თვალეებით ექუქუნებოდა...

ექიქიკებოდა...  
უნდოდა დაეჭირა, მაგრამ ისინი არ ჰნებ-  
დებოდნენ...

როცა ხელს წაატანდა, მყის კენწეროზე შეფ-  
რთქილდებოდნენ...

გათენდა... გაიღვიძა... კარგა მოშუშებული-  
ყო წილში...

სრულიად გაველო დაღლილობას...

აღარც თავი სტკიოდა ბავშვების ჩიჩინი-  
საგან...

უსაზომო მხნეობასა ჰგრძობდა.

ის იყო წამოდგომის აპირებდა, რომ ელნა-  
თურას გაუშტერა თვალი.

ზედ სასაცილოდ ჩამოკიდებული იყო „სელი-  
ოლკა“.

კვლავ სიცილი აუთამაშდა სახეზე...

— ჩემო, ჩემო ღულღუნებო, სლაკუნებო,  
ახტაჯინებო!— ეალერსებოდა სათითაოდ, თით-  
ქოს თვითელის სურათი წინა სდებიყოს...

დღეს მხოლოდ სამი გაკვეთილი აქვს...

იმის შემდეგ იმ შრომის სკოლას მიაშურებს,

საცა მისი მეგობრები სწავლობენ...

იმედია მიუსწვრებს და განიცდის მათის ნახ-  
ვით ნუგბარ სიხარულს და ბედნიერებას...



# ს ი მ უ ი ლ ი ს ო ნ ი

(ნამდვილი ამაზი.)

თუ კიდევ გახსოვთ, 1922 წლის გაზაფხულ-  
ზე კი მწვავე შიმშილობა იყო.  
ვისაც ჰადი სახელობათა კი სძულდა, მაშინ  
ნატერის თვლით საძებნელი გაუხდა.

ამხანაგი ვიქტორაც კოლშვილის გაჭირე-  
ბამ საჩხერიდან ქართლის სოფლებისკენ გამო-  
ამგზავრა.

სადაც იყოს და არ იყოს, ათიოდე ფუთი  
სიმინდი უნდა იშოვოს, მანამ სხვა რამე მოე-  
წოდეს.

მაგრამ მუქათათ ვინ რას მიაართმევს თუნდაც  
ქართლის სოფლებში!

ვიქტორამ იცოდა, რომ ტეტია ბიჭებს კაი  
პურმაროლზე ღვინო ხშირათ აკლია და თუ სა-  
დმე შესვთებთან, მოლხენაც კარგი იცინა ხოლმე.

რამოდენიმე კოკა ღვინო იმასაც მოეპოვე-  
ბოდა ერთ მიყრუებულ ჭურში.

ბარემ კი ენანებოდა იმისი კარში გატანა,  
მაგრამ რა გაეწყობა, როცა ოქროს საკადრი-  
სათ შეფასებულ სიმინდს-მუქთად არავინ არ  
მოართმევს იმის გაჭირებულ კოლშვილს!

თვითან ვიქტორი ქალაქში გასული კაცი  
იყო. მას ხარკამეჩი არ ებადა. სოფელს მხო-  
ლოდ ამ სიმშილობის დროს დაუბრუნდა, თო-  
რემ ისე ბაზარ ადგილს რა მოაშორებდა!

ამიტომ გაურიგდა ერთ თავის მეზობელს,  
რომ ურმით გადაეტანა ქართლში ეს რაღაც  
თხუტემტიოდე ფუთი ღვინო და იქიდანაც სი-  
მინდი წამოეღო ისევე.

გარიგება და გზის გადგომა ერთი იყო.

კვირა დღეა.  
სოფელ ვარდის-უბნის გლეხობა შუა გულ  
მინდორზე გამოფენილა და ნებევრობენ გაზა-  
ფხულის მზეზე.

ერთ ორ ადგილას იმერლებსაც გაუჩერებიათ  
თავიანთი დავაგულუი ლაჩაჩები და ასაღებენ  
წყალ-წყალა ღვინოს.

ჯველი ბიჭები მაინც სავანგებოთ ეხვევიან  
ურმებს ვარშემო. ხან ერთგან იღებენ ღვინის  
ჰაშნიკს და ხან მეორეგან.

ვიქტორაც გაჩერებულა ერთ ძველ კაკლის  
ქვეშ.

მართლა, არ დაგვივიწყდეს აღვნიშნით ვი-  
ქტორას ერთი თვისება.

იმისთანა ამხმ კაცს-მეორეს ვერ იპოვიდით  
მთელ მაზრაში. რაც უნდა კაი ვაყვაცი დას-  
ტოლებოდა, სიმაღლით იმის მხარს მაინც ვერ  
ასცილდებოდა.

მისი სიმაღლის აღნიშვნა მართალია ჩვენ  
არაფერს გამოგვადგვება, მაგრამ მაინც ვიცო-  
დეთ ისე, რუ რა ზომის კაცთან გვაქვს საქმე.

ჰო და, სდგას ჩვენი ვიქტორა კაკლის ქვეშ  
და ელის მუშტარს.

აგერ, ჩამოაურეს იმის უბანსაც კისერ-სქელა  
ბიჭებმა.

— გამარჯობა იმერელო!

— გაგიმარჯოს გენაცვა!

— ღვინო გაქ, იმერელო?

— რამდენიც გენებოს!

— აბა ერთი ჰაშნიკი გვაჩვენე!

— ქიპა არა გაქეთ?

— როგორ არა! მოიტა ბიჭო ტაქანი, ე, გი-  
გა! გვიამაც მიაწოდა სათითეს მსგავსი ქიპა.

— აბა, ჩამოგვისხა, იმერელო!

ვიქტორამაც ჩამოუსხა და თან ღიმილით  
უქექრის, თუ როგორ სინჯავს ხუთი-ექვსი კა-

ცი ამ რამდენიმე ულუ ღვინოს,  
ხან ერთი მოიწაფებს ქიპას და ხან მეორე  
ჩაიგუებენ რამდენიმე ცვარს პირში და აწ-

# ზ ლ ვ ა ს .

ზღვა მოშუხვის, მოღვართაქობს,  
მოყვირის და მომქუხარობს.

ტალღათ ქარი, ვით აფთარი,  
ლეღავს შფოთავს აღარ წყნარობს.

სულ თან მიაქვს, რაცა ზვთება  
მკაცრ ზვირთებით ნადავლები.

მის ლეღვისგან წრწინან, თრთიან  
დაბლით ბარნი მალლით მთები.

მოდის, მოჰქრის გოლიათი,  
ღრინაცილი შორსა სწვდება.

ხალხის მტანჯველ ბოროტებას  
წასაგრგნელათ ემუქრება.

სურს წალკოს, გაღალგეოს,  
გაასწოროს, რაც არს მართლდე

შლამ ნალექით ამაამსოს,  
ბაყაყთ ყორე, გველთა ბუდე.

მაშინ კია დაისვენებს  
დამღოვრდება, დაწყნარდება

მისგინდ არე წალკელი  
განახლება, აყვავდება.

გ. შინატეხელი.

ლაპუნებენ შენდევ ისეთი დაკვირვებით, თით  
ქოს დიდი მცნობლები იყვენო.

— ჰაა, ბიჭო! ქერეთხვის წყალი ამაში რო-  
გორღაც ნაკლები უნდა ერიოს!

ვიქტორას გუნებაში ეციენება.

— ჰი, თქვე გლახებო! როგორა სინჯავთ ღვი-  
ნოსა! გამოიტათ აქ ჩაის ქიპა, თუ გინდათ გე-  
მოზედ გასინჯვა!

— ეი, ბიჭო! ე რა ბარაქიანათ ლაპარაკობს!  
აბა გამოიტა მართლა ჩაი ტაქანი, თუ არ გვა-  
ტუქუბს!

გამოიტანეს ჩაის ქიპა. ვიქტორამ ყველას  
აუვსო რიგრიგათ. ყველას ძირამდის გამოაც-  
ლევიანა, შემდეგ შეაბა ხარები და გაუღდა გზას.

— ბიჭოს! ეს რა ყარაოღელი რამა ყოფილა!  
— მე და ჩემმა ღმერთმა, აფსუსი კია ამ ღვი-  
ნის გაშვება!

— მერე ე ბიჭიც რო ასეთი ყარაოღელი  
ყოფილა და!

— დაიცა, ეი, იმერელო!

— ჯერ ხო არ გვიწყენინებია კაცო, რას ვარ-  
ბახარ!

ვიქტორა შეჩერდა. იმის ღვინის ქება უკვე  
მოედო მთელ მოედანს. ყველა „ღვინის მცნო-  
ბელმა“ თავისი თავი მოვალეთ ჩასთვალა-ვიქ-  
ტორა ხელიდან არ გაეშვა.

— რა ღირს იმერელო ფუთი ე შენი „ქერეთ-  
ხელაი“?

— ორი ფუთი სიმინდი, ძმობილო!

— კაი ბიჭი კი ხარ, მაგრამ კაი ზღმერთო-  
ცა ყოფილხარ. აგერა ი თქვენებურები ერთ  
ფუთათაც კი იხვერწებიან.

— მერე თქვენ თავს რაზე ილუპავთ, მე რა-  
ლას მომდევთ?  
გლხებმა ერთმანეთში რაღაც წაიტუტუნ-წა  
მოიტუტუნეს და შემდეგ მიუბრუნდენ ვიქტორასა

— შენა დიდი ოხერი კაცი უნდა იყვე! იმიტომ გადავახუხე შეილოსა ი დიდი ტაქნებითა, რომ მერე ჩვენ თვითონ დაგიწყეთ ხვეწნა განა!

—სახვეწარი განა რა გავქვთ ძმობილო! ძვეყანა ხომ ჩემზე არ ჩამოვარდნილა!

—მოტრიალდი, მოტრიალდი კაცო! შენ ჩვენი ხელიდან ვეღარსად წახვალ!

—მხოლოთა ჩვენა ჭურჭელი არა გვაქვს და ხუთშაბათამდის უნდა დავგიტოვო შენი ჭურჭელი! ხუთშაბათსა დღეობა გვაქვს, ჩემო ძმობილო, მაშინ გამოვცლით ყველასა და მერე გზაც დავგილოცია!

—ხუთშაბათამდის მერე სად ვიცადო, ჩემო, კარგო, ბინა რა არა მაქვს?

—შე კაი კაცო, ბინის მეტი რა გვაქ!

—საქონელი მერე!

—გაიმი, ვაიმი, განა საქონლის ადვილი კი ვერსად ვიშოვეთ!

—ადვილის მეტი რა გვაქ კაცო! მაგაზე რა გალონებს!

ვიქტორას ურემი და ხარებიც მოათავსეს ერთ საბძელში.

—ა, ძმაო, ეს საბძელი, ეს ბზე, ეს ჩალა! დააყენე ე შენისხარები და რამდენიც გინდა ავაიმე.

—ავაშენოთ ღმერთმა, ჩემო ძმებო და აზნაგებო. თუ კი ესე შინაურულად გამიმასპინძლებით თქვე დალოცვილის შევიღებო, ხუთშაბათამდის კი არა, თუნდა მემრისამდი-ააც აქ დავეჩრებ!

—ღმერთოო— მთას იცნობსო და თოვლს ისე დასდებოს! ჩვენც ვიცანით, შეილოსა, რა კაციც ხარ და იმიტომ არ გვეზოგება სიყვითელი.

ვიქტორამ და თავის მურუმემ დააბინავეს საქონელი. შემდეგ ჩაერთნ სოფელელებში და მორთეს მასლაათი ამ მთაზედა და იმ ბარზე, სანამ ყბა დაეღლებოდათ.

ვანშობისას საბძელში უკვე ნამდვილი დღეობა იყო გაჩაღებული.

გაიგეს თუ არა ვიქტორას ღვინის ჭაშნიკი, მთელი სოფლიდან მოგროვდნ დარდი-მანდი ბიჭები. უფროსებიც საქმათ შეუერთდნ. ჰური, ყველი და მწვანე ხახვი ბლომათ გაჩნდა სუფრაზე და ასე ხელდახელ საუცხოვო ძმაბიჭური ქივივი გაეწყა.

მრავალკამიერ და ვარხალალოს ხმა ყოველი ჭურჭულიდან გამოდიოდა მთელი უბნის სამხიარულოთ.

ძალზე შეხარხროშებული ხალხი პირველ მამლის ყვილზე ძლივს დაიშალა.

ვიქტორამ თავის დარდინანდ გუნებით და წყლიან მასლაათით ისე მოინადირა ყველას გული, რომ ვინ არ გინდა, თავისთან ებატრეზებოდა ღამის გასათევად.

—თუ კი პატივსა მცემ და ჩემთან წამობანდები, ისე გაგიმასპინძლებდი, გაჩვენსა ფეიცავ, რომ შენი დღენი არ დავაგვიწყდეს.— ეუბნებოდნ მესობლები ერთმანეთის საცილოთ.

ბოლოს საბძლის პატრონმა გაბრიელმა ყველაზე მეტი უფლებებით დაილაპარაკა.

—ერთი მითხარით ხალხო! მე რა ამოწყვეტილი კაცი მნახეთ რომა, ჩემ სტუმარსა თქვენთან ებატრეზებით? არა, ჩემ სახლსა ჰერი არა აქ თუ რაი, ჰა! არა ჩემო ვიქტორა! აქედანა

ფეხსაც არ მოგაცვლევივინებ! იმითანა ლოგინი გაგიშალო, რომა! მართალია, შენი საკადრისი არ იქნება, მაგრამა რა უყოთ! დროებსა მაინც ებატრეზა, თუ ჩვენ არა!

ბოლოს ბავშური ხვევნა და კონიით ერთმანეთის სიყვარულით როგორც იქნა გამოემშვიდობნ ერთმანეთს და ბარბაცით გაემართნ თავთავიანთ სახლისკენ.

გაბრიელმა კი წავლო ხელი აყლახუდა ვიქტორას და გაუძღვა თავის სახლისკენ.

—გოგო მარა! შენ გენაცვალოს მამაი, შენა! აბა, ერთი მარდათ კობტა ლოგინი გაუშალე ამ ჩვენ ძვირფას ტუმარსა!

თვამეტი წლის მარა ციბრუტივით წამობტა ლოგინიდან, ერთი თვალის დახახამებზე გადაიცვა სამოსი და შეუღდა ვიქტორისთვის სასთუმალის გამზადებას.

ვიქტორამ შეხედა მაროს და ვაშაკურის გულწრფელობით გაიფიქრა:

—ხეტავი შენ წამყვანს გოგონი, ნეტავი შენ წამყვანს!

სასთუმალი უკვე მზათ არის.

აი, ჩემო ვიქტორა! ისე მოისვენე, როგორც შენი გულდაგული ნათესავის ოჯახში! თუ გინდა, აი, არღებშიც გაიარე! ძაღლისა ნუ გეშინია! ერთი დაუწრუწუნე მურია, მურიათქო და ხელად მოგოშინაურდება!

ცოტახნის შემდეგ ვიქტორა უკვე მშვენიერთა ვაწყობილ ლოგინში ხვრინავდა.

გათენდა.

კაცები დილიდანვე გაეშურნ მინდგრებისაკენ სამუშაოთ. გაბრიელის ოჯახობამაც სადილისთვის შეამზადა კაი მსუყე დო შეჭამანდი და წაულო მინდორში კაცებს.

მარამ ვიქტორასაც გაუწყო კაი ლაზათიანი სადილი. პატივი სცა, როგორც შუჭურის ნამდვილ სტუმარს და შემდეგ აღარც დაჰნახებია თვალთ.

ვიქტორას სადილის შემდეგ მოეწყინა. ხან საბძელში ჩავიდა ხან ისევ სახლში ამოვიდა, მაგრამ ვერაფრით გაერთო. სულ დაღამებას ნატრობდა, რომ კაცები დაბრუნდნ ჩქარა. მანამდისინ კი არ იცოდა თავი რით გაეყოლებინა.

რალა ბევრი ვავაძელოთ, ოთახის ერთ კუთხეში მდგომმა ვრამაფონმა რამდენჯერმე მიიზიდა მისი ყურადღება. ბოლოს მივიდა. გასინჯა კიდევ.

გაფუჭებული გამოდგა.

აქ კი ვიქტორას გაუჩნდა საქმე. მან მოიგონა თავისი ძველი მექანიკობა და შეუღდა ვრამაფონის შეკეთებას. ერთ საათში სუყველაფერი გააწყო. მაგრამ? ნევის აღარ აქვს და ამით ლამის სულ ამათი გადიქცეს მთელი იმისი მუშაობა.

აქ ვიქტორამ გამოიჩინა თავისებური გამჭრიახობა და სცადა ძეძვის ეკლის ნევისად გამოყენება. შედეგი საუცხოვო გამოდგა. ისე დებულად არააკრებდა, რომ ფოლადის ნევისიდან ვერაფრით ვერ ირჩევოდა. პირიქით რალაც თავისებური გულამოსკენილი ხმაც ჰქონდა, რასაც ფოლადის ნემსი ვერ იძღვოდა.

დაადგა ჩვენი ვიქტორა და საღამომდის სულ აქყვიტინა მთელი უბნის ბავშვებისა და ქალების სასიხარულოთ.

### გლახის სიშლირა!

გლახი ვარ, ოფლის წვეთებით... დედამიწასა ვასველებ, ბარსაც ვაწვევებ ფეხებით! თითხს და წალდს აღარ ვასვენებ. მიწას ვაბარებ სათესურს, მომივა მოსამკალადა:

შევეყრებ მინდვრად მწვანე პურს! მზად მაქვს, გოლორი, კალათა. მუქთა ხორაზე თავს არ ეცვლი, რად მინდა სხვისი ნაშრომი! მიწას, სიმსუქნეს ავაცლი, ბევრი მაქვს, მკადი და ღომი. ყანაში ვდგვარ მე თობით, ქალებს რომ ასდის ალები! გული მიტკებება იქ თოხნით, ხალისით არ ვიღალები.

დღეს ჩემი შრომა აღარ გავს ძველსა ბატონ-ყმურ შრომასა, ზურგზე ჯოხს ვერვინ დამარტყამს, აღარცა ვყურებ წყრომასა.

დავასამართ ბატონი, ტყავს ვეღარ მაძრობს ღალაში, თვით ვახვდი შრომის პატრონი, ვთოხნი საკუთარ ყანაში.

იარალს ვიცი ვინ მომცემს, მარტო არა ვარ ობლადა, მჭედელი რკინის ურის სცემს! მე პურს მოვიყვან სოფლადა, ფართალს მიშადებს ქარხანა, თანამგრძნობ მუშის ჰირიმი!

მიყვარს წითელი ქვეყანა, ვიცინი, აღარ ვსტირი მე. საბჭოთა ხელისუფლებამ, სიციცხლე გამიხალისა, დამიხსნა მონობისაგან, იმედი მომცა ხვალისა. აღარ ვჩანაღლებს ყმურადა, სხვისი ბარგ აკიდებულს!

გლახი მუშასთან ძმურადა, ხელი ხელს ჩაკიდებული! ქალაქში ჩაზბი ტრიალებს; სოფლად ბიბინებს ყანები, წითელი დროშა ფრიალებს, მტერს უბრძავდება თვალები!

მუშა გ. სალუქვაძე.

მთელ სოფელს მოედო ხმა:

— გაბრიელს სტუმარს, აი, ჩეღვინე იმერელს, „ედისონი“ გაუქეთებიაო!

სოფლის ხომ მეტი აღარ უნდოდა. ჯერ ისედაც მოჯადოებული იყვნენ ვიქტორას ხასიათით და ეხლა ესეთი ხელობაც რომ სცოდნია, ეს ხომ უფრო ცამდისა სწევს მას ხალხის თვალში.

სალამოზეც ისევ დიდებული დროება ვაატარეს. ვიქტორა ყველასთვის თვალსაჩინო კაცათ გადიქცა განა მარტო თავისი გარეგნობით, არამედ ხასიათითაც.

ღვ. მებრევილი.

(დასასრული იქნება).



# მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ უ ი

მსიჯი

რა ჯურის ხალხი გნებავთ, რომ რკინ-  
გზის სადგურზე არ იხილიათ.

ბილეთების სალაროსთან ჩამწკრივეზული  
ხალხის კუდი ქუჩაში გრძელდება.

კახეთის მატარებელი ვაჟკაცური კივი-  
ლით მოადგა სადგურს.

გაისმა პირველი ხარი.

ხალხი შეთოთქოლდა.

—შენ, ეი, სად მიძვრები რიგს გარე-  
შე?—იძახის ერთი.

—უჟაცრავად, მე თავიდანვე აქ ვიდე-  
ქი!—უპასუხებს ურცხვად.

—რა გაჩხუბებთ, ყველანი მოასწრობთ  
ბილეთების აღებას!

—არა, შეილოსა, გუშინდელს აქეთია აქა  
ვარ და ვერ იქნა, ვერ ველირსე ბილეთს,

ყველაზე წინ რომ ვიდე, ყველაზე ბოლოში  
მომაქტევენი ხოლმე, ასეთი ყოფილა ხათრიანი  
კაცი.

გაისმა მეორე ხარი.

იხუვლა ბილეთებ აღებულმა ხალხმა თავი-  
სი ბარგი-ბარხანით და ზღვასავით გაიშალა  
სადგურის ბაქანზე.

—ბილეთი, ბილეთი! — აჩერებს ყველას  
კონდუქტორი.

—მე არსად მივდივარ, მხოლოდ ჩემი ბავ-  
შვის ნახვა მინდა, ნება მომიცით შევიდე რო-  
ნოდში, ერთს ვაკოცებ და ისევ უკან დაე-  
ბრუნდები! — ეხვეწება კონდუქტორს ერთი  
სანდომიანი ახალგაზრდა ქალი და თან რო-  
ნოდის კიბებისკენ მიიწევს.

—წადით, მაგრამ თუ შექენი ბავში ვერ  
ნახოთ დაბრუნებისას მე მაკოცეთ! — ეხუმრე-  
ბა კონდუქტორი.

—არც კი გრცხვინანთ! — გულმოუსული უპა-  
პასუხებს ქალი და შედის შეგნით.

ყველა დასაჯდომი ადგილის ძებნაშია.

ყველა ნერვიულობს.

ყვირილი, წვილი, ლანძღვა, მუდარა, —  
ყველაფერი ერთმანეთშია არეული.

გაისმა მესამე ხარი.

ორთქლმავალმა ერთხელ კიდევ შემოსძახა  
თავისი ბოხი ხმით და ქშენით დაიძრა.

ყველანი მოწესრიგდნენ, დაწესარდნენ, ერ-  
თი-მეორეს გამოემუსაიფნენ, გაეცნენ.

—ამხანავო, გეტყობა შენ მწყემსი უნდა  
იყო! — გამოელაპარაკა ვიღაც უცნობი მოქა-  
ლაქე თავის გვერდში მჯდომ ცხვრის ტყავში  
გახვეულ მწყემსს.

—მართალი ხარ, მწყემსი ვარ! — მიუგო  
მეზობელს და ჯიბიდან ყალიონი ამიღო.

—სად მიდიხარ?

—ცხვარში.

—რამდენი სული გყავს?

—ათასი.

—ბიჭოს!

—რა იყო, გიკვირს თუ?

—შე კაი კაცო, როგორ არ გავიკვირო,  
მე ათასი კავეიკიც არ მოხობია და...

—არც ჩემოვნა ძალუმადღურობა გექნება.  
—როგორ?

—როგორ და ათასი ხიფათი დაგვდევის  
თანა. აი ეხლა ამისათვის მივდივარ, რომ

ცხვარი ახალციხისაკენ უნდა გავლალოთ.  
ცხვრის გულისათვის ხშირად ჩვენი სიცოცხლე  
საფრთხეში ვარდებოდა. ჯერ არის და ნადირი  
გვემტერება, მერე კიდევ ყაჩაღები და ვინ მოს-  
თვლის კიდევ რამდენი ვაი-ვაგლახი უნდა გა-  
მოვიაროთ.

ამ ლაპარაკში სუფრაც გაიშალა. ტიკტორა-  
მაც ყურები სცქეიტა ხურჯინიდან. სადგურ  
ვაზიანს რომ გასცდა მატარებელი, გაჩაღდა  
კახური სმა.

—შენი სახელი? — ჰკითხა მასპინძელმა მგზავ-  
რმა მწყემსს.

—თედო! — უპასუხა მწყემსმა.

—გავიშარჯოს, ძმობო თედო, გიცოცხლოს  
და დეგზარდოს შენი წვრილ-ფეხობა.

—გმადლობ, ძმობო, შენც ავაშენოს!

—რა წვრილფეხობას ადღეგრძელებს ეგ  
კაცი? — შევეკითხე ჩემს ახლო მყოფ მგზ-  
ვარს.

—მაგ მწყემსის წვრილფეხობა ბატენებია--  
მომიგო მან.

—პოოო, რა კარგი შადარებაა. მე კი მე-  
გონა წვრილ-ფეხობა უდღეგრძელებდა.

—პო-და, მაგის ფეხლებიც თავისი ბატენებია.  
—მიირთვი, ყმაწვილო, ღვინო! — მომწო-  
და ყანწი მასპინძელმა.

—არ გაიხლებით, გმადლობთ!

—აბა როგორ გვიკადრება, კახეთში თუ  
მოხვალ ღვინოსაც უნდა შევიტყე. სულ ერთია  
აქედან ფეხზღაოთ ველარ დაბრუნდები უკან.

მეტე რა ძალა მქონდა, ჩამოვართვი, ცო-  
ტა მოვსრუტე და გადავაწოდე. მაგრამ თქვენც  
არ მომიკდით, არ ჩამომართვა, მანამ არ გამო-  
მაცლევინა ძირამდე. რაკი დაეატყე რომ შემ-  
დგეშია არ ამცდებოდა ყანწი, ამისათვის ვა-  
კადრე იმ რონოდთან მეორე რონოდაში გა-  
პარვა.

—საცოდავი, ორივე თვალებით ბრმა! —  
სთქვა ერთმა მოხუცმა კაცმა თავის გასწვრივ  
სკამზე მჯდომ ერთ ახალგაზრდა უსინათლოზე.

—ეჰ, რა ყოფნაა მაგისი ყოფნა! — გამოე-  
ლაპარაკა მის ხანში შესული მეორე გლეხი  
ზოგი იმასაც ჰკითხეთ? — ჩაერია მესამე და  
გაიმართა საუბარი.

—ევეჰ, სიცოცხლე, რაც უნდა შავ-ბნელი  
და მწარე იყოს, მაინც ტკბილია.

—მართალია, მართალი. მაგის დასამტკი-  
ცებლად აი რას გიამბობთ:

—აბა, აბა, სმენა იყოს, სმენა! — დაინტე-  
რესდნენ ყველანი.

—იყო ერთი დატაკი მოხუცი გლეხი. თა-  
ვის მეტი სხვა არავინ გააჩნდა. ერთხელ ეს  
გლეხი წავიდა ტყეში შუშის მოსაჭერლად.

მანძილი გაიარა და შევიდა დაბურულ ტყეში.  
მოსკრა შეშა, შეჭკრა მოზრდილი გულდურა,  
გაიღო მხარზე და ხვნეშით გაუღდა გზას. სა-  
კმაოდ იარა. მაილალა, მძიმე ტვირთი მიწაზე  
დაახეთქა. ხვითქი მოიწმინდა და კენესით წა-  
მოიძახა:

—სადა ხარ, შე ოხერო სიკვდილო, რომ  
ამდენს მაწვალებ შენი ლოდინითაო.

—ამ ნატვრაზე უცებ გამოეცხადა სიკვდი-  
ლი და შეეკითხა გლეხს:

## სამგაფლლოში.

დილის სიო ქრის, სამგაფლოში  
ოფლის ღვრის მკედელი;

შრომის ცხელ ოფლში იხარშება  
იმისი ტანი;

აქ მძიმე შრომის მოწამეა  
ოთხი კედელი

და ნახშირითა გაშურული  
ყველა საგანი.

ბობოქრობს ცეცხლი დიდ  
ქურაში იმედინად,

ზევით ჰაერში ნაპერწკლები კი  
სულ ცეკვავენ,

ფიქრობს მკედელი: „შრომით  
ბრუნავს მთელი ქვეყანა,

რა გადურჩება სასიცოცხლო  
მადლიან მკლავებს.“

ნახშირისა და რკინის სულით  
მოწამულ ჰაერს

სუნთქავს მკედელი და  
მიჰქრის ასე წუთები;

ის სულ ამზადებს იარაღებს  
სხვა და სხვა ნაირს...

მაინც არ გრძნობენ დაღლილობას  
მისი კუნთები.

ხან შეჩერდება და ფიქრებით  
დადუმებული

ათვალიერებს სამგაფლოში  
თითველ საგანს;

როს ნაშრომს ხედავს, სიხარულით  
ვესება გული

და ტკბილ გრძნობებსა ოცნებაში  
აძლევს გასაქანს.

შუა დღე არის. რკინას ესევ  
ებრძვის მკედელი...

და ცეცხლი კი სულ მჭერმეტყველობს  
შრომის ქურაში;

რკინის ჩაქუჩის მძლავრი რტყმევით  
ზანზარებს გრდემლი...

და საბერველიც ნაპერწკლებსა  
ისტუმრბებს მარშით.

ქ. ფ.

—რისთვის მეძახიო?  
საწყაო გლეხს შიშისაგან ფერ-ფერი ეც  
ვალა და როგორც იყო აკანკალბულ ხმა  
წამოილულულა:

—არაფერია, შენი ჰირიმე, დავიდალე.  
ძალ-ღონე გამომეღია, მოდი ერთი გეთაყვა ეს  
გულდურა ამიწვი და მხარზე გამაღებინეო.

ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გაღიხარხარებს ერთხმად და  
ტაში შემოპკრის.

—მელაანის ბილეთი! — მოისმა კონდუქტო-  
რის ხმა და მეც მოვემზადე სადგურზე გადა-  
სასვლელად.

გ. ქუჩიშვილი.



# უ ა ვ ი ჟ ე ლ ი ჟ ა ლ ი

(მოთხრობა)

## რისა უნდა გვეზიოდეს.

დასავლეთ საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები იყრიდა თავს.

რევოლუტია თანდათან მარცხდებოდა. რეაქცია კი თანდათან მაგრდებოდა, თანდათან მდგრად უტევდა რევოლუტციას და შთანთქმეს უპირებდა...

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, რევოლუტციის ფერხულში ჩაბმული იმერეთის გლეხობა ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და შეუპოვრად ებრძოდა ვეშაბივით პირდაღებულ, კბილებ-გალესილ რეაქციას.

ებრძოდა თავგამოდებით, გმირულად და ასეთი თავგამოდებული ბრძოლით დიდ ზარალსაც აყენებდა მტერს.

გლეხი-რევოლუტციონერები არა თუ მარტო თავდაცვითი ბრძოლას აწარმოებდნენ, არამედ უტევდნენ კიდევ, მოულოდნელად ესმოხდნენ თავს მთავრობის ჯარს, ამარცხებდნენ და ანადგურებდნენ.

— ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, ნუ გეშინიანთ; ცოტა კიდევ და, ჩვენ გავიმარჯვებთ!..

— რისა უნდა გვეშინოდეს? ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, ყველანი ჩვენთან არიან, ისინიც ჩვენსავით იბრძვიან!.. მაშინ უნდა შეგვეშინდეს, როცა მარტო ვიყოთ! — ამბობდნენ მებრძოლი გლეხები და გულს არ იტყუნდნენ, დამარცხება ფიქრდაც არ მოსდიოდათ.

## II თბილისის სასახლეში.

მთავრობა დაფაცურდა.

თბილისში, მთავარმართველის სასახლეში გაცხარებული ბჭობაა.

— მე მაკვირებს ხოხონიკა იმერლების ასეთი შეურყევლობა! — ამბობს ერთი.

— სასწრაფო ზომები უნდა მივიღოთ მათი შეურყევლობის დასათრგუნავად! — ამბობს მეორე.

— რა ზომები უნდა მივიღოთ! ქვეითა ჯარს ამარცხებენ მემამბონე, ყაზახებს ამარცხებენ, არტოლოერისტებსაც კი დაეხსნენ თავს და ზარბაზნები წაართვეს!..

— თუ ზომები არ იქნა მიღებული, ეგ ხოხონიკები ისე დღეს დაგვაყენებენ, რომ იქნება აბარგებაც მოგვიხდეს კავკასიიდან!..

— ბატონებო, — იძახის მოხუცი ლენერა — ჩვენ ძლიერ ლმობიერად ვეძვევით მემამბონე გლეხებს!.. ჩვენი ლმობიერებით ისე წათამამდნენ ისინი, რომ გვიტყვენ კიდევ და ჩვენს ჯარებს ამარცხებენ... ეს კი დაუშვებელია; იმათ კი არა, ჩვენ უნდა შევეუტიოთ და ავლაგმოთ ისინი... ამასთან უნდა გახსოვდეთ, რომ ეს უბრალო აჯანყება კი არ არის გლეხებისა, არამედ ეს არის რევოლუტციონური მოძრაობა... ჩვენ უბრალო, მოუშანდებელ გლეხებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ რევოლუტციონურად განწყობილ, სოციალისტების მიერ მომზადებულ გლეხებთან, სოფლის მუშებთან, რომელთაც სწამთ მომავალი და დარწმუნებული არიან, რომ რევოლუტციამ უნდა გაიმარჯვოს!.. ჩვენ უნდა მივიღოთ

საქარო ზომები, რომ ასეთ რწმენაზე ხელი აიღონ გლეხებმა, და ჩავკლათ მათ გულში ის იმედი, რომ ოდესმე რევოლუტცია გაიმარჯვებს!.. უნდა ვაჩვენოთ მემამბონე გლეხს, რომ ჩვენ ძლიერი ვართ და ის კი სუსტი, რომ სუსტი ლონიერზე ვერ გაიმარჯვებს... როცა დარწმუნდება იგი ამასში, მაშინ ის ველარ გაბედავს ხელში იარაღის აღებას და ბრძოლის დაწყებას მთავრობის წინააღმდეგ!..

— მერე, როგორ ჩავკლათ მის გულში გამარჯვების იმედი, რით დავარწმუნოთ ის, რომ რევოლუტცია ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს?

— დამსჯელი რაზმით!..  
— როგორ?

— როგორ და ისე; დამსჯელი რაზმი მოქმედებს დაიწყებს ლიხის მთიდან, წავა მარცხნივ, მარჯვნივ, პირდაპირ და შავ ზღვას მიაღებთ!..

მოხუცი ლენერის წინადადება ყველას მოეწონა.

გდაწყდა კოპწია იმერეთის დამსჯელი რაზმით განადგურება...

## III ცეცხლითა და მახვილით.

ათას ცხრაას ექვსი წელი შავი წელიწადი იყო დასავლეთ საქართველოსთვის.

ლიხიდან შავი ზღვისკენ მიიმართება დამსჯელი რაზმი ლენერალ ალიხანოვის მეთაურობით. მიღის ცეცხლითა და მახვილითა, სწვავს, ანადგურებს ყველაფერს, რაც კი გზაში ხვდება.

ჯოჯოხეთი დატრიალდა მთელს იმერეთში. გამხეცილები მეფის ყაზახები არავის ზოგავდნენ, ყველას ხოცდნენ, იტაცებდნენ წვითა და დაგვიტ შექმნილ გლეხის ქონებას, აუპატიურებდნენ ქალებს.

თავის მხრით არც მემამბონე გლეხები ზოგავდნენ თვის ჯალათებს და, რაცა მოახელდნენ, მუსრს ავლებდნენ.

თავისი მამაკურთ ბრძოლით და იარაღის ხერხიანი ხმარებით მტერი განცვიფრებაში მოჰყავდათ იმერელ გლეხებს.

— სად გავარჯიშდნენ ასე იარაღის ხმარებაში ეს მშვიდობიანი მიწის მუშა სოფლები?! — უკვირდათ ყაზახებს.

და მათელაც საკვირველი და საოცარი იყო ის სიგმირე, რომელიც გამოაჩინა იმერეთის გლეხმა ალიხანოვის დამსჯელ რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თოფ-იარაღით შეიარაღებული გლეხი არა თუ მარტო ჩასაფრებულ ბრძოლას აწარმოებდა მტერთან, არამედ პირდაპირ გზაშიც ხვდებოდა მას და თავისი გაბედაობით და შეურყევლობით დიდ ზარალსაც აძლევდა!..

ყაზახები კი მათ ჯავრს სთვლად დარჩენილ მოხუცებსა, ქალებსა და ბავშვებს იყრიდნენ და შეუბრალებლად სტანჯავდნენ თავიანთ ოფიცერ-უფროსების თვალნ წინ, რომელნიც უმწიროდ დარჩენილთა ტანჯვაზე გულიანად ხითხითებდნენ.

## IV. სოფელი ქედიანი.

მაღლა მთაზე გაქიმულა სოფელი ქედიანი. ძირს გამალებული მირბის მთის გივი მდინარე, მთავარებს ლოდებს და საშინელი ხმაუ, რომით ეხეთქება თავის კალაპოტის სალი კლდის ნაპირებს, განგრეცას უპირებს.

სოფელი მივარდნილ, თითქმის მიუვალ ადგილს არის და ამ მივარდნილობის წყალობით ჯერჯერობით გადურჩა დამსჯელ რაზმს. ახალგაზრდობა და ყველა ის, ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო, კომიტეტის მოწოდებით სათანადე საბრძოლველად გავიდნენ.

მთელი სოფელი უძღურ მოხუცებისა, ქალებისა და ბავშვების ანაბარად დარჩა.

სოფლის განაპირა ოდა-სახლის აივანზე დაღონებული ზის სამოცდაათი წლის მოხუცი პავლე. ის დარჩა პატარა ნინოთი, თექვსმეტი წლის ქალიშვილით. მის ერთადერთი ვაჟიშვილი, ცხრაშვიტი წლის კოწია, საბრძოლველად წავიდა.

მას არ მოუტყდა კომიტეტის მოწოდებისათვის. მოძრაობის დაწყებისათანადე ვისხა დარალი, მამაკურად გადიკდა მხარზე თოფი, მხურვალედ გამოეთხოვა მოხუცი მამას, პატარა დას და გზას გაუდგა.

მოხუცს კრინტი არ დაუძრავს. ის ჰჭმობ და ახალგაზრდა შვილის მოვალეობას ქვეყნის, რევოლუტციის წინაშე და ამიტომ გამოეთხოვა ჩუმად, უპროტესტოდ.

მას ენანებოდა დაშორება დაევაკაცებულ შვილისა, მაგრამ თავის სინანულზე კრინტიც არ დაუძრავს.

— წადი, შვილო, წადი, მშვიდობით იმგზავრე, — უთხრა გამოთხოვებისას: — სილაჩრეს სიკვდილი სჯობია!..

## V. გადმოხვეწილი ქალები.

ქედიანის მცხოვრებთ საშინლად ალეღებდა დამსჯელი რაზმის ამბები, რომელთაც კანტი-კუტად მოდიოდა სოფლებში.

სამხრეთ ალმოსავლეთის მხარეს საღამოობით მოსხანდა წითლად გაგვარებული ცა...

მოისმოდა ყრუ ქუხილი დამსჯელი რაზმის ზარბაზნებისა.

ერთ მშვენიერ დღეს ორმოცამდე ქალი მოვიდა სოფელში, რომელთა შორის ბავშვიანებიც იყვნენ.

— შეგვიფარეთ, დებო, შეგვიფარეთ უბედური ხალხი! — ამბობდნენ ისინი: — დედ-მამა მტერმა დაგვიხოცა, სოფელი დაგვიწვა, საქონელი წაგვართვა, ქმრები და ძმები ბრძოლაში არიან!..

სტუმარმოყვარე ქედიანელებმა გაშლილი გულით მიიღეს გარდმოხვეწილი ქალები.

— მოდიო, დებო, მოდიო; მტერი ჩვენამდე ვერ მოვა და საქმელ-სასმელი ყველას გვიყოფა, ჩვენი ოდა თქვენს ოდათ იგულისხმეთ! — უთხრეს ქედიანელებმა მათ და ფართედ გაუღეს თავისი სახლის კარები.

უგზო - უკვლოდ ხეტიალით გატანჯულნი ქალებმა ჰპოვეს მყუდრო ბინა ქედიანელთა

ოჯახებში და თავისუფლად ამოისუნთქეს.

ერთი ბავშვიანი ქალი მოხუც პავლესთან დასადგურდა, რითაც დიდი კმაყოფილი იყვნენ პავლე და ნინო.

—უბედურს შეველა უნდა, უბინაოს — ბინა, ვითომ ჩემი ქალიშვილი ყოფილებარ; — ალერსიანად უთხრა პავლემ: — რა გქვიან, ქალო?

—უწინ ქეთევანა მერქვა, შენი ქირიმე აღამიანი ვიყავი, სახლი მქონდა, მამა მყავდა, ქმარი მყავდა, ქალი მყავდა ათი წლის. მარა აწი აღარავინ მყავს. ქალიშვილი ყაზახებმა წამართვეს, მამა მომიკლეს, ქმარი დამეკარგა, სახლი დამიწვეს; აღარაფერი მაქვს, აღარავინ მყავს, ამ ბავშვის მეტი, და აღარც არაფერი ვარ, აღარც არაფერი მქვიან! — სთქვა გადმოხვეწილმა ქალმა და მდულარე ცრემლი გადმოაფრქვა.

—ნუ სტირი, შვილო, ნუ სტირი; აი მამაც გყავს აგერა, აი ღაცა გყავს, სახლიც გაქვს და საქმელ-სასმელიც! — ანუგეშა გულკეთილმა პავლემ: — ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ქე გიპატრონებ და, როცა მოვკვდები, მაშინ არ ვიცი, რავე იქნება საქმე!..

—ღმერთმა ნუ მაჩვენოს შენი სიკვდილი! — უთხრა ქეთევანმა პავლეს და უცებ იგრძნო მისდამი ნამდვილი მამა-შვილური სიყვარული.

—თუ არ მოვიდნენ აქ ყაზახები, ისე არა გვიჭირს-რა, — სთქვა პავლემ და ქალებს გადახედა.

ყაზახების ხსენებაზე ქეთევანი გაფიქრდა, გააკანკალა და შეშინებული წამოიძახა:

—უწინამც დღე გამიქრება!

—აქანა თუ მოვიდნენ იგინი, საქმე გლახად იქნება, — სთქვა ნინომ, — სოფელს ააწიოკებენ!..

—გაძლევთ პატროსან სიტყვას, რომ თუ ერთი ყაზახი მაინც დავეინახე სოფელში შენოსულო, მაშინვე გადავეშვები კლდიდან მდინარეში და თავს დავიდრჩობ, მეტი გზა აღარ მაქვს!.. ჩემი პაწია თედოსია, ნეტა სად არის აწი! — სთქვა ქეთევანმა და მწარედ დალონდა.

—არა, ნუ გეშინიანთ, ისინი აქამდე ვერ მოვლენ, — უთხრა პავლემ და გარედ გავიდა.

## VI. ცუდი სიზმარი

ცის სინათლე თანდათან იშლებოდა, ფართოვდებოდა.

ზარბაზნის ქუხილიც უფრო მოახლოვდა ქედითან, უფრო მძლავრად ისმოდა; ახლომახლო მთები მას ხმას აძლევდნენ, იგინიც ჰქუხდნენ.

ქეთევანი ერთავად გაფიქრებულ იყო, რაღაც სტანჯავდა, ნერვიანობდა და შიშობდა.

ცქრიალი ნინო კი არხეინად იყო, არაფრის ეშინოდა და ჩიტივით დასტოდა.

მან არ იცოდა, არ ჰგრძნობდა იგი, თუ, ბედი რას უმზადებდა მას და მასთან ერთად მთელს სოფელს...

მას არაფერი აწუხებდა, არაჯურის დარდი ჰქონდა, მხოლოდ ამას წინად წასული ძმა აგონოებოდა ხანდახან და მასზე ფიქრდებოდა.

—სადაა ის ბიჭი, რომ წავიდა და აღარ სჩანს? — კითხულობდა დროგამოშვებით.

—აბა, ომში წასული ასე მალე რას დაბრუნდება; ვიდრე არ გათავდება ყველაფერი, ის აქ ვერ მოვა! ეუბნებოდა მამა.

— გაუწყალა მას გული, ვინც ეს ომი და ბრძოლა მოიგონა! — სთქვა ქეთევანმა და ცხარე ცრემლები გადმოაფრქვა.

— ნუ სტირი, შვილო, მოთმინება იქონიე!..

— რავე არ ვიტყვი, საყვარელო მამავ, ამდენი ვი ვაგლახის გამოძვლევი, და, ვინ იცის, კიდევ რა გადავგზდეს თავს!.. წუხელი-საც ენახე სიზმარში — გველები დამდევდნენ საკბენად, მე მათი შიშით უფსკრულში გადავხტი!.. მესმის, რომ ეს კაი სიზმარი არაა და უბედურება მომელის კიდევ!..

— ბეჩა, სიზმარი გინახავს და მიტომ სწუხარ? საბანი კარგად დაიხურე ძილის დროს და სიზმარს აღარ ნახავ! — სიცილით უთხრა ყოველთვის მხიარულმა ნინომ და გულიანად გადიკისკისა.

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო დაი-ავ, ღმერთმა ნუ დაგამწუხრა, მარა ჩემი სიზმარი არაა კაი სიზმარი, ვიცი, დაცდილი მაქვს! — თვალცრემლიანი ამობოდა ქეთევანი.

— მეც ქე ენახე სიზმარი, მარა მისი არაფერი მწამს; — სთქვა ნინომ; — დიდი, უშველებელი ორმო იყო სისხლით სავსე და მე შიგ იმ სისხლში ვცურაობდი; დევაპირე გამოკურება და გამოსვლა, მარა ვერ გამოვედი!..

— სიკვდილი ჩემს თავს! — შემოიკრა თავში ქეთევანმა და ტირილს უმატა.

ამის გამოწვევად მწარედ დაფიქრდა.

მუშა 5. ასლამაზაშვილი.

(გაგრძელება იქნება)



## მზის სხივები

ცეცხლის ფერია ისევ აანთებს სამშობლო მხარის ცას ლავერლოვანს... დაბერავს ქარი — გაინავარდებს და გადათელავს შავ-ფიქრთა გროვას...

გატყდება წელი მოგონებათა — შავ სიზმარეთის ორწოხებიდან; თუ დამე როგორ გამოემართა — ჩემს შესამუსრად შეოთით, სევდითა...

ადგება წუთით: ღამე და ქარი, ყინვა და შიში — ვაი-ვავალხათა... სისხლის აჩრდილი გმირ მენალარის ფოლადის რწმენა, რომ სულ თან ახლდა...

დაიკლანება ქრელი გველივით მოგონებათა შავი გრეხილი... და ვფიქრობ ასე, ვფიქრობ: თუ დღე ვით, როგორ გვაქვს სული გაუტყებელი...

მაგრამ დილია ალბად ის რწმენა რაც ჩვენ მარად-ჟამს გვიტაცებს მზისკენ... აღფრთოვანება სულს იქვებს წმინდავს... აღფრთოვანება ჩირაღდნებს იქნევს!..

აღფრთოვანების ცეცხლით დამთვრალი

თ, ჩემი სული ასე ანთია... ვკითხულობ ისევ მზისკენ მავალი, ვკითხულობ ისევ: განთიადია?!

განთიადია, განთიადია... ქუჩიდან-ქუჩებს მიყვება ქარი... ხედავთ გმირები როგორ დადიან — კუნთებ მავარნი კუნთებ მავარნი...

ერთი და ორი... ერთი და ორი... მოლიან მწყობრად მოიმღერიან... ლალის დროშების ქართან ამბორი ისევ წრფელია მშვენიერია...

გამოდით გარე... გამოდით გარე... ხედავთ ჩვენი მზე როგორ გაშლილა... ეს სიყვარული დღეს არე მარეს, ისე უღიმის, ვით ზეცას დილა...

თავდავიწყების შრომის გენიას, დღეს აქ პარადი გაუმართია... ცეცხლის ფიქრები ისევ გველიან... ცეცხლის ფიქრები ისევ ანთია...

ქოქალაქენო! გააღეთ კარი... და გადახედეთ

რევოლიუციას—  
ეს არის სული  
დაუდევარი...  
ეს არის ის რაც  
მტრებსაც უცნაოა...

ო, პოეტურად  
დღეს ჩემი ქნარი  
ისევ ამღერდა,  
ისევ ტრფილავს...  
ვამბობ: დღეს ჩვენ ვართ  
ძალა მედგარი  
ვამბობ: დღეს ჩვენ ვცლით  
ტრფობის ფილებს...

და ყველამ, ყველამ,  
ვისაც გსურთ ნახოთ  
დღევანდელი დღის  
შეება დიადი...  
აქ მოდით ჩემთან  
აქ მოდით ახლოს,  
რომ მით დაძლიოთ  
ღამის წყვდიადი...

პეტრე ხაზონიძე.



## ხანძარი ქარხანაში

დედის ძუჭუ ეკრებოდა,  
ქარხნის კედლებს ცეცხლის სწვავდა,  
შვილის პირველ დაძახილზე  
მშრომელი ჯარი მიმოზღვავდა.

ბამბის ქულა გამოზიდეს,  
სინართე და დართული,  
ცეცხლი მძაფრობს, კაცი აქრობს,  
დედისათვის იბრძვის შვილი.

ბამბის ცეცხლის ნაპერწკალი  
ახლოსაც ვერ გაეკარა,  
გადელობა მის სიმძაფრეს,  
შაერთებულ მშრომელთა ძალა.

ბუშა ქალთა გაისმოდა  
ქვითინი და ცრემლთა დენა,  
მათ შეგნებულ გულის წუხილს  
ვერ ჩამოსთვლის ყველ მხრივ ენა.

იბუგოდა ხალხთ ქონება,  
ინთქებოდა ცეცხლის ალში,  
ელვის უმაღ ხმა გავრცელდა—  
ხანძარია ქარხანაში.

და მოაწყდა ყველა მხრიდან  
გამოწრთენილი მქრობელი ჯარი,  
ძლიერ იქმნა ცეცხლი ჩქარა,  
ჭკუხდა წყლისი შადრევიანი!

რა იხილეს ჩაქრა ცეცხლი,  
დაუდინჯდა ყველას გული,  
ანგრევს მხოლოდ სიძულვილი  
და აშენებს სიყვარული.

მაშ შეფობდეს სიყვარული,  
შეერთებულ მშრომელთა ძალა,  
რომ თავიდან აიცილინოს  
ყოველგვარი ხათაბალა.

## ცვილინი.

შენ დღეს იმიტომ შემეყვარდი  
ჩემო ტფილისო!  
რომ შრომის შვილებს აჩირაღდნებ  
დედა-ქალაქო!  
და აქ სიციცხლე მაქარივით  
დღეს და ევლიობს,  
და სიციცხლის მზეს ეტრფის გულით  
დღეს მოქალაქე.  
მოსკოვთან ერთად იხსენება  
შენი სახელი,  
რევოლიუციას შენ გუშავობ  
ქართული სულით,  
შენი ხსენება ჩვენ პოეტებს  
მისთვის გვახარებს,  
რომ შენ ფრთებს ასხამ შრომის შვილთა  
სიციცხლეს, სურვილს.  
შენი წამება ჩვენ არ გვინდა  
ამის გარეშე,  
ამის გარეშე არ არსებობ  
ჩვენთვის ტფილისო!  
ო, ბნელ წარსულში თუ გაუძეულ  
მრავალ თარეშებს,  
მომავალში, გვწამს, წითელ დროშით  
თვით მზეს დიდაპრობ.  
ბევრი მზე მოკვდა. ვარსკვლავებიც  
ჩაქრა მრავალი, გააზოიერდა დედა-მიწა  
მოდგამთა ძვლებით;  
შენ კი ამაყობ, რომ იწამე  
ყოფნა ახალი  
და უერთგულე დიდ ოქტომბერს,  
ქარხანას, ლენინს.  
დღეს შენს გულში ფეთქს  
სასიციცხლო შრომა ძლიერი  
და გამარჯვებას წითელ დროშით  
დღესასწაულობ,  
დღეს საქართველოს აცისკროვნებს  
შევბის იერი  
და ცეცხლის ტუჩით კოცნის ჩაქურს,  
მანქანებს, უროს.  
ბრძოლის ემბაზში შენ მოგვანათლე  
შრომის შვილები  
და შეგეყვარე ქუჩა, ბრძოლა,  
ბარიკადები,—  
ვიბრძვით ახალ მზის შესაპყრობად.  
და არ ვიღლებით,—  
პარაზიტებს კი ვანიავებთ  
ცეცხლის ანთებით.  
წლებმა ხმაურით ამაყ თავზე  
გადაგვიბრძინეს,  
ბევრჯერ ვყოფილვართ ტყვეობაში,  
ტანჯვა გვინახავს,  
ბევრჯერ აგვიკლეს, ჯალათებმა  
ბევრჯერ გვაგინეს.  
მაგრამ ჩვენ მხედ ვართ.  
ვსკედთ სიციცხლეს, სიციცხლეს ახალს.  
ო, დღეს იმიტომ შემეყვარდი  
ჩემო ტფილისო!  
რომ შრომის უბნებს აჩირაღდნებ  
დედა-ქალაქო!  
სადაც სიციცხლე მაქარივით  
დღეს და ევლისობს  
და სად ახალ მზეს ეტრფის  
გულით დღეს მოქალაქე.

## ღელას

შენ ხშირად ამბობ ძვირუასო დედაც,  
რომ ხასიათი მიმიგავს მამას,  
რომ მეც მასავით გულს არ ვიტყვავ,  
როდესაც ბედი წინ მიდგას მამამდ,—  
ესლა გაკვირვებს ამაყ სიტყვა,  
გესხვავებოდა თითქოს ქვეყანაც,  
მე ხომ ამაზე ბევრი რამ მითქვამს  
რომ გულის ჯავრი გადაგეყარა.—  
შენ კი დღესაც ვერ დაგვიწყია  
რომ წინად პური ღირად შაურად  
და მიგანია რევოლიუცია  
რალაც უმიზნო აურ-ზაურად...  
ჩემში ანთია რწმენა ალური  
და სიხარულად ესეც გეყოფა,  
რადგან ცრემლი და ოფლი ღვარული  
თვით ბავშობიდან გადაგეყოფა...  
დღეს კი ჩაქური იბრძვის, ილაშქრებს,  
ცეცხლის სიბრაზე უკვე ემჩნევა  
და ვინ აპყვება წარსულ სილაჩრეს,  
სილაჩრეს ვინ არ გადაიწყვეთ...  
გემართებს სიციცხლე შრომის აკორდით  
წოწოდებული ერთგულ დაზვიანდ,  
გვიბრძება მრავალს ხელი ნაკორძი,  
მასაც სილხინე გაუნაწილდა...  
იცვამს ქვეყანა ახალ სამოსელს  
მკერდზე სისხლისფრად გამობრძმედილსა  
და მე ვიძახი მესასამოცედ:  
„ბედნიერი ხარ რომ ეს გელირასა“...  
სთქვი დედაჩემო, რომ ხასიათით  
მიგეზავსეხები ძლიერ მამაჩემს,  
რომ არ მაშინებს ბედი კვიმატი  
და მტერს უსისხლოდ არას შეგვარჩენ...  
ე. პოლუშორდვინივი




## რალიო

ორი ანძა ლითონისა  
თანატოლად აზიდულა  
მავთულებით ოთხივ კუთხივ  
გაბმულა და გამობმულა  
ზევით, ქვევით, მაღლა, დაბლა  
შუა წელი, ყველა მხარე.  
ისიც გასძლებს სანამდისინ  
იარსებებს მზე და მთვარე...  
მიწაშიაც მავთულები  
დაუმარხავთ ოსტატურად,  
ერთმანეთზე გადახლართულ  
გადამბულან მკვიდრად, ძმურად.  
თურმე სიტყვებს მრავალ ნაირს  
გატყორცნილებს ელთა ძალით  
რომელთაც ხმა არა ისმის  
და ვერც ხედავს ვერცინ თვალით,  
ის ანძები აზიდულნი  
იზიდავენ, შეკუმშავენ,  
გადასცემენ მანქანებსა  
სისხლსა და ხორცსა შეასხამენ.  
ის რომ ნახოს პაპაჩემმა  
და რომ მოხდეს სასწაული,  
კვლე მოჰკვდება, გაკვირვებით  
გაუსკდება იმ წამს გული.  
მაგრამ ჩვენ კი მზერით ვსტკებით  
და შეეყურებთ სიხარულით  
ნგრევა ვნახეთ, აშენებაც.  
— ჩვენც ვზვიადობთ სულით, გულით.

შაქო ნავთლუღელი



იუმორისტის ხატობა.



# მშობლის მახე



## მკითხველს!

### გაფრთხილება!

არ აურიოთ „ეშმაკის მატრახ“-ში, არც სხვა „ხაუნგში“ ეს ჩვენი კუთხე!

\*\*\*

ვინც ჩავარდება, ცუდს შთავარდება ის ხომ ყოფაში, მახე მეორეს. გაიმეორებს, ამასობაში..

იქნება ჭერა, თვალეში მჭერა დამნაშავისა... დასაჭერია, ვინც რომ მტერია თავის თავისა!..

#### მიმართვა.

აი, მახე! შენც შიგ ჩახე; თუა, ნახე; შენი სახე!..

—ახე.

უბრალო მახე, ანუ ხაუნგია, აქ ნაგებია! ჰყავს მას მისანი, აქვს მას მიზანი, გასაგებია!..

### რადიო-დეკეზები.

რომელიც ეგზავნება „ნიანგის“ თანამშრომლებს ფოსტით, ვინაიდან წინდაწინ ვარ დარწმუნებული, რომ ამ გზით მას ისინი უფრო ადრე მიიღებენ, ვიდრე რადიო-მელამე მომავალ რადიო აპარატით.


აჰა, კვლავ მიპყრობს დღეს აგონია და თავი ასე მჩატე მგონია, რომ ყველაფერი აქ მავიწყდება... ვფიქრობ, სულთქმაც კი მკერდში მიწყდება... მივფრინავ ლაღათ ცისა ეთერში და თავს ვგრძნობ ისე, ვით ლურჯა — ქერში!.. ამბობენ, ვითომც ვიყო ბოროტი, ეს არის ქორი, გურულათ — „პროტი“! და ასისინებს ასე ის ენას, ვინც მუდამ აზრებს ისახავს ქვევსა! მე კი რათ მინდა ქვევა, ან ზენა, როს შემიძლია ჰაერში ფრენა? და ეს ისე მზათ და უზრუნველათ, რომ თავს ვაცხადებ ცისა ფრინველათ! და ეს არა დღეს, არა პირველათ!.. მე განვიზრახე... აი, აქ სახე უნდა პირჯვარით გადავისერო და შევყვე მალა, თუნდაც, ვით წერო! (აქ ვერ ვახსენებ აეროპლანსა: მას მე ხმელეთზეც ვუშვები განსა!) შედეგები, რომ ეს შეშურდეს სხვებსაც და უკან მომეყვენ... (თუ ენდონ ფრთებსაც!)

მე მიყვარს შრომა კოლექტიური, შრომაც, იმავ დროს, ყოველდღიური, მაგრამ რას იზამთ თუ მოგაკლდება ის, „საუნელათ“ რაც რომ ცხადდება! მაშინ, თუ არ ხარ გადარეული, იკმარე საქმე ორ-კვირეული! (თუ კიდევ უფროც არ შერეული.) შეები ღელიქში, ეწიე ჭაბანს და შემოველე თავს შრომის საგანს... მაშ, ჰა, სუ ყველა იქვეით სენად და მოემზადეთ ჩემთან საფრენად!.. დაფუყვეთ ყველგან სოფლებს, ქალაქებს, ბურჟუაზიულ დროში ანაგებს, დღეს კი საბჭოთად გადაქცეულებს და მაინც ზოგ-ზოგ სენით სნეულებს... შეველოთ კარნი აღმასკომების თვალ-წასაკრავით იქ ნაშრომების... დღეს ხომ სოფლებში ბევრი „კომია“.. თუ მქაიდიც კია თან და ღომია, ეს ახლო-ახლო და არ შორ-შორად, გლხეთა მუცლებს ამოსაყორად, თორემ უმისოთ ჩასთვლიან ქორად ჩვენსა იქ მისვლას თუნდაც სიციხადით, თუ არ შეგვიპყრეს, შემთხვევით, ბადით და თვალეში არ ჩავავცივინდენ: „სიფრთხილეს თავი არ სტიკია“.. **პინდენ — ბურღია** რადგან დღეს **ღერმანეთში**, რევოლუციის ამ საბამეთში, და „მეღელ მუღოს“ წილ, დღეს იგი ხერვლავს,


თუმცა დასაკლავ დანას მოჰხვლავს, და თავსაც მასვე მოჰკვეთს ის დანა. სახვალაოა ეს ამოცანა! მიტომ „ფრთხილადო!“... გვირჩევს **ფილიპე**. ჩვენი მშრომენლა და მოთადარიგე. ყური დაუგდეთ ამ რჩევას თქვეცა და დააკვირდით ჩვენს წყულულს და სენსა! რა წამს შენიშნოთ, ბუქსაც დაჰკარით და მყის გვაცნობეთ რადიო-ქარით, რომელიც ისე მომრავლდა ჩვენში, რომ მას დღეს ვერც კი გაარჩევთ სენში!.. ბევრია ჩვენში დაწყებულება: აქვს ზორბა თანხა, აქვს დებულება, მაგრამ ის რომ ერთს აღვიღს სივდება, სხვავან ზედ ყველას გული ცივდება! ასეთებს უნდა ჩამოთვლა რიგზე, თმის ღეროებზე, და არა თითზე!.. ეჰ, ერთი სიტყვით რა გავავრძელოთ: უნდა ამბავი არ დავაძველოთ, შენიშვნას წამსვე მივსცეთ მსვლელობა, რადგან ჩვენ გვიყვარს ჩვენი ხელობა, ჩვენ ვერ მოვითმენთ ამბის გაყინვას, ხელს ვუწყობთ საქმის წინსვლას და ბრწყინვას, რათა სულ იყვეს ის მომზიდველი და კმაყოფილი ჩვენით — მკითხველი!.. თუმცა შევსკვლით სიტყვა „ნავი“, ხელში გვაქვს მაინც ნაცადი ჩანგი! არ გჯერათ?!.. აჰა, თითონვე ნახეთ: ის იწოდება „ეშმაკის მახეთ“!.. **ეშმაკის მახე.**

# ცრუ-მათხოვარი, ანუ ორი აპაუი.

ორი საზღვარი „ფატერლანდისა“  
მან გადმოსთელა, მსგავსმა ლანდისა!  
ქელთ—კეტი, ტანზეც—ნაცვეთი ფრაკი  
ილიამზარად—რაღაცა ტოპრაკი,




ვით საზოგადოთ სჭირს ზნეთ მათხოვარს,  
ჰქონდა სიხვერე ჯიუტს, უპოვარს:  
გამვლელ-გამომვლელთ ხელსა უწვდიდა  
ცა ბერლინისკენ გზას ჯიუტურ ვლიდა...  
აჰა, ქალაქიც! და მათხოვარი  
შემოდის შიგ, ვით სწორ—უპოვარი!  
უყვარს თხოვნის დროს თავის ავდება:  
როგორც ნაცნობი სახლებს ადგება.  
და მოწყალეობას მოითხოვს რიბით,  
სანამ არ მისცემ, ბიჯს არ სდგამს იქით!  
სულაც არ უჭირს ეს დებიუტი,  
სიანს, რომ ბუნებით იყო ჯიუტი!..  
იყო საღამო, ბევრთაგან ერთი,  
ქალაქის ქუჩებს ღამის ბნელეთი  
უეცრად თავზე წამოიხურა,  
როს ეს მათხოვარი ერთ სახლს ესტუმრა.  
წინ „შეიცარი“ გამოიგება  
და გლახას უწყო იქით გადგება.  
მეგრამ გართულდა მათ შორის სცენა!  
სხვა რიგათ აღძრა მათხოვარმა ენა:  
ასენა ჯერ თვით პატრონი სახლის,  
მეგრამ მსახურიც იარაღს არ ჰყრის:  
იქნეს, ვით ლომი, ხელებს და ფეხებს  
და იგერიებს მათხოვრის ხერხებს...  
მეგრამ... ჩუ! გლახამ აელვა კეტი  
და თავს დაასხა „შეიცარს“ რეტი...  
სტემულად!



ჰვეთქა კარები და შეჰყვა კიბეს,  
და წინ წარუდგა შემკრთალს მასპინძელს!..  
მას ჯერ ეოცა!...რომ დააკვირდა,  
მიფარდა ხევივით, ღამის ატირდა:  
—„ვილი!.. ახ, ნუ თუ შენ გხედავ, ვილი?!  
თითქოს ეწვია მოხუცო შელი.  
შემდეგ გაულო კარი გულისა  
და, ნიშნად ძველი სიყვარულისა,  
უამბო ყველა, თუ რაც შეემთხვა,

თუ ამ ტახტისკენ ნელ-ნელ ვით შეჰყვა...  
და უსმენს ვილიც გულის ტოკვითა  
მოხუცს, განატაცს მისი ლოკვითა...  
და ბოლოს... ბოლოს მათ ვადასწყვიტეს,  
რომ იმ ტახტზე კვლავ ვილი ავიდეს!..



ასე მოწყვა ეს ორი აპაუი,  
რომ კედლებმაც კი დაუკრეს ტაში!..



## ლია ჟირილი ინილორმ ახალაძეს

ზოგან ლეჟსად  
ზოგან სესხად  
პროზა,  
ვით შეშვენის პოეზიის  
ამ წამხდარ დროსა!..

ძმაო ისილორე!

რაც გითხრა, გამიგონე:  
უეჭველად ამოდი ერთი ტფილისში,  
თუნდაც, აი, მომავალს ივლისში,  
როცა ყანაგზში მუშაობას მორჩები,  
ამჩატლები და აბორბოდები...  
გინდა, დამდეგ, ან დამლევეს ავგისტოსა,  
ერთი სიტყვით, შენ თვით შეარჩევე დროსა!  
ტფილისში, იცო? სახლი გაქვს შენ აგებული,  
დაავილი სუფთად, მორთული, მოგებული.  
იქ სადაც უწინ კუნძულთან მადათოვისა  
იყო სავაჭრო არა ერთ სისხლის მწოვისა,  
დღეს შენი სასახლე წამოქიმულა,  
რა თქმა უნდა, ღირებთა გამარჯვების

ესე იგი, ნიშნად იმისა, რომ დღეს  
ღიღი ყურადღება აქვს მიქცეული გლეხს!  
ამოდი უეჭველად, ამოდი, ისილორე ჩვენო!  
ნება გაქვს შიგ ხუთი დღე მუქთად მოისვენო  
შემდეგ კი თავისუფალი დროც აღარ გექნება,  
ალბად.

ის ხომ შენ არადროს არა გქონია ჰარბათ,  
მიტომ წაიღიებს გადაბორჯების შიში,  
დღეს ყველაფერში საჭიროა მტკიცე ანგარიში,  
ამიტომ იანგარიშე შენც, ჩემთან ერთად,  
თუ რამდენი დღე უნდა შესწირო ამ საქმეს  
მსხვერპლად?!

ხუთი დღე ხომ იქ ლაღი მოსვენება,  
თუთხმეტ დღეც—სოფლიდან აქეთ ამოკნენება  
რა თქმა უნდა, საკუთარის ორის ფეხით,  
თორემ არც ცხენით, არც უნაგირით და არც

კახით,  
რადგან ესენი შენ, ვიცო, რომ არ გაბადია!  
თუმცა შენი მეზობელი, ესე, გამოცდილი ნალ-

ბანდია!  
თუთხმეტ დღესაც, ვიცო, შესწირავ შენ და-  
ბურუნებას  
თუ, რა თქმა უნდა, საამისო მოცლაც თუ ექნა  
ბუნებას,

თორემ, თუ დრო ავდრებით ვადავისერა,  
აქ შენ არც ქრთამი გაგივა და არც პირჯარის  
წერა!

უშორეს ამისა, მომიკითხე ბალნები და სოფო,  
წამოსვლის ხანს არ დაივიწყო დასტოვო მათ-

თვის საქმეო მჭადი და ლობიო,  
ამასთან ცოტა საგზალი შენც დაგვირდება:

თვე და ხუთი დღე ისე არ დამცირდება,  
რომ ათი კეცი მჭადი და ამდენივე ტარანი  
მინც არ მოგიწინდეს გზაში, არ გქირია „მხო-

ლოდ მარანი,  
რადგან ღენის სმასვერც კი აიტან ამ სიციხეში,  
ხოლო გზად კი, მთასა, მინდორსა, თუ ტყეში,  
უხვად გექნება წყაროს ცივი წყალი:

სვი ამ ცხელგულზე ისა და წუჟურვილიც მითი  
მოიკალი!..  
ონისიმე



## აპენდიციტი.

—პეტრე! შენ ზემგუსარათა ხარ ნამყოფი,  
ომში, ჩახედილი და გამოცდილი... ექიმობისა  
უეჭველია, სამსახურის დროს რამე მოგეცო  
და ეხლა უნდა მიშველო, —ეუბნებოდა ანდრო  
ცულულტაძე, ახმახი, ზორბა ახალგაზდა წმინ-  
და ზოსიმეს ნაწილებისათვის გამხმარ პეტრე  
ფლავიაშვილს. რომელიც ვაკვირვებით შესც-  
ქეროდა ანდროს და თავის ნიკაპზედ გამო-  
სულ ღეროებს ხელით აცოდივლებდა.

— შენ ხელში, უეჭველია, ბევრ ავანტურას  
გაუფელია და იქნება ისეთი ავანტურაობა მირ-  
ჩიო, რომ კურტორტზე გამოგზავნონ, ეღრიტე-  
ბოდა ანდრო.

— ჰმ!.. აბა, რომელი პროფესორი მე მნახე,  
რომ გირჩიო რამე, —მხრების აწვეით უპასუხა  
პეტრემ.

— ისე დავიღალე, ჩემო პეტრე, რომ პარაქა-  
თი აღარა მაქვს.

— აი, შეგებულება აიღე და დაისვენებ და-  
სასვენებელ სახლში.

— დასასვენებელი სახლი თავის თავად იქ-  
ნება და კურორტი კი თავისთავად.. მე მინდა  
შეგებულება კვადრატში აყვანილი... გესმის,

— მესმის, მეგრამ მე რა შუაში ვარ აი, ეს  
არ მესმის...

— კურორტზედ ისეთ ავანტურაებს აგზავ-  
ნიან... აი, ნამდვილ ავანტურაებს...

— მეერ შენ ვინ გაგაგზავნის?! დახე, კისერი  
თუწინ, კამეჩა-ბუღას მივიგავს!

— მე.. მე.. გგონი, უნდა გულის სიგანიერე  
მქონდეს!.. გამშინჯე და მირჩიე, თორემ კო-  
მისიაში მოვხვდები და გამომრეკამენ, თუ ვი-  
ცრუე... გამსინჯე, იქნება ფილტვებში რაიმე  
ხრიბინ წრიბინი შეაშჩიო... დააკაუნე და დაა-  
ბრაზუნე გულზედ.

— შენ, რა გაზხარული ქოთანია ხარ, თუ  
კოკა?!

— მაინც იცი, გესმის რამე! ნუ ინაზები!..  
— რას ჩამაცივდი, კაცო! რომელი ექიმი მნა-  
ხე? გიციო, ოხერი!

— კარგია, შენ ჩახედული კაცი ხარ და არა-  
ფერი გამოგებარებოდა... აბა.

— ეს!.. კარგი. ვაიხადე პერანგი.. აბა, დაახ-  
ველე, —დაადო პეტრემ ყური ანდროს გალიათი-  
ათისებურ მკერდს, —ეხლა, ცხვირი დააცემინე...  
ჰმ! ფილტვები ისეთი გაქვს, როგორც აბრაზა



არ ვიცით, თუ რა უფრო უკლავს გულს: ის, საიმედო თავის ხოდაბუნს რომ ხედავს ასე გატიალებულს, თუ ის, რომ წახრილს, წაფამფალღებულს, უსირცხვილო ჩონჩხს კონკა-ქველების ჯოხ-ჯვარედინი, მსგავსად ხელების, რომ აქვს გაჩრილი, რისიკ იმედი

ჰქონდა მის ჯალაბს ის კი, ვით ყბედი, ვით კერპი, ტლანქი, უგულო, ხებრე სდგას იქით, როგორც აქეთ სდგას პეტრე?! ის ნიშნაღ უგებს თითქო თვის პატრონს, რომელიც ჯერაც ვერ მოსულა გონს, რომ ქერს, მოთესილს ამ ხოდაბუნში,

ვით შესწვდა მტერი ში კაკალგულში? ვით მოჰსრა ის და ვით მოათავა?! და ნახობაზე კი გულსაკლავად — ის, რამაც ოჯახს ვერ მისცა შველა, — რამაც იმსხვერპლა იმედი ყველა, სდგას საფრთხობელა, ვით სახრჩობელა!..  
ქაქიჩ.

## ს ე ლ თ ვ ნ ე ბ ი ს პ რ ო ნ ი კ ა

### საქართველო

■ **ახალი რომანი.** მწერალმა დენმა შენგელამ დასწერა ახალი რომანი თანამედროვე ცხოვრებიდან — „თბილისი“.

■ **„ტარიელ გოლუა“** რუსულათ. გამოცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“ ახლო მომავალში რუსულ ენაზე გამოუშვებს ლეო ქიაჩელის რომანს — „ტარიელ გოლუას“-ს. რომანი რუსულათ ნათარგმნია ა. ნიკიტინის მიერ.

■ **„ლიტერატურული ტრიბუნა“** გამოვიდა აკარისტანის პროლეტარული მწერალთა კავშირის გაზეთის „ლიტერატურული ტრიბუნა“-ს პირველი ნომერი. გაზეთი ყოველკვირეულია.

■ **„პროლეტარული ლიტერატურისათვის“** გამოვიდა და იყიდება პ. ქიქოძის ბროშურა „პროლეტარული ლიტერატურისათვის“. წიგნი ღირს 50 კაპ.

■ **ლიტერატურული გასამართლება.** 2 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა გიორგი წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯის“ (კინო-სურათი „სამი სიცოცხლე“) გმირების ლიტერატურული გასამართლება.

■ **მომღერალი სანდრა ინაშვილი** მიწვეულია მადრიდის (ესპანეთი) სახელმწიფო ოპერაში. სეზონის დამთავრების შემდეგ ის სავაქტროლოთ მიემგზავრება იტალიაში.

■ **აკაკის საფლავის დაცვა** აღმასკომმა დანიშნა კომისია ქურდიანის ხელმძღვანელობით აკაკის საფლავის დაცვის მიზნით საფლავთან კლდის გასწვრივ კედლის ასაგებათ.

■ **„წითელი ხანათი“.** იბეჭდება და ახლო ხანში გასასყიდათ გამოვა ს. შავგულიძის მოთხრობების კრებული „წითელი ხანათი“.

■ **„ბედის ვარსკლავი“** ვასილ ბარნოვმა დასწერა ახალი რომანი „ბედის ვარსკლავი“ რომელიც იბეჭდება და ახლო ხანში ცალკე წიგნათ გამოვა.

■ **კ. კაპანელის ნაშრომები.** იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა კ. კაპანელის შემდეგი ნაშრომები: „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“ — ქართულ ენაზე და „ქართული ლიტერატურის ისტორია საზოგადოებრივ განვითარებასთან დაკავშირებით“ — ქართულათ და რუსულათ.

— **„თეატრი და პოეტები“.** ფრანგულ ენაზე გამოვიდა ელისაბედ ორბელიანის ნაშრომი „თეატრი და პოეტები“ გამოცემა უცხო ენათა უკრების.

■ **პიანისტ ჯაბადარის კონცერტი პარიზში.** პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ კომპოზიტორ-პიანისტმა ჯაბადარმა ელისეის ველის თეატრში (პარიზი) გამართა სიმფონი-

ნითური კონცერტები, რომელზედაც შეასრულა თავისი ნაწარმოებები: „ინდაურები“, „ქართული ლეგენდა“, ფორტეპიანოს კონცერტები და „ქართული რაპსოდია“.

■ **პირველი სომხური კინო-სურათი.** სომხეთის სახელმწიფო კინო-მრეწველობამ გამოუშვა პირველი სომხური კინო-სურათი „ხორურდანი აიასტან“ (საბჭოთა სომხეთი).

■ **„ეპოქა“.** გამოვიდა საქართველოს პროლეტკულტის სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ეპოქა“. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები, წერილები, მოთხრობები და ქართული მხატვრების სურათები.

■ **ვაგნერის სახელობის წრე.** ექსპერიმენტალურ სახელოსნო „ემორ“-თან ნ. ა. რიადნოვის და ა. ს. ბარათაშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა ვაგნერის სახელობის წრე, რომელთაც მიზნათ ისახავს ვაგნერის ნაწარმოებების შესწავლას და მათ პოპულიარიზაციას ლექციების, კონცერტების და დისკუსიების საშუალებით.

■ **ახალი ოპერა.** კომპოზიტორმა რევაზ გოგინაშვილმა დასწერა ახალი 4 მოქმედებიანი ოპერა „მზის ქურუმი“. სიუჟეტი აღებულია კერპთაყვანისცემლობის ეპოქიდან.

■ **პუშკინი ქართულათ.** პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე ქართულათ სთარგმნის პუშკინის „ევგენი ონეგინს“. თარგმანში დაცულია ორიგინალის ლექსთწყობა.

■ **საზაფხულო კლუბი.** ხელოვნების მუშაკთა კავშირი ოპერის ბაღში აწყობს საზაფხულო კლუბს, სადაც ყოველ დღე გაიმართება წარმოდგენა.

■ **დრამატული კოლექტივი თელავში.** ქალაქ თელავში დაარსდა ქართული დრამატული კოლექტივი, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს.

■ **„ფიქრები მტკვრის პირას“.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა სიმონ ჩიქოვანის სამკარიანი პოემა „ფიქრები მტკვრის პირას“.

■ **„ივანე ბოლოტნიკოვი“** წითელი თეატრის მომავალი სეზონის რეპერტუარში შეტანილია ვ. ელსნერის ახალი პიესა „ივანე ბოლოტნიკოვი“.

■ **პრემიერები მომავალ სეზონში.** ქართული აკადემიური დრამის მომავალი სეზონის რეპერტუარში განზრახულია შეტანილი იქნეს შემდეგი პიესები: „პამლუტი“ — შექსპირის, „მიწის-ძირა“ — პ. კაკაბაძის და „აღამიანი გალიაში“ (თარგმანი)

■ **საოპერო და დრამის თეატრების მომავალი საშემოდგომო სეზონის** საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ გადასცო 10.000 მანეთი.

— **„მისი მოწოდება“.** თბილისში ამ ჟამათ აწვენიებენ რევისორ პროტოზანოვის მიერ დადგმულ სურათს „მისი მოწოდება“. გამოცემა „მეურთაპომ-რუს“-ის.

■ **ხორეოგრაფიის სტუდიაში.** პროლეტკულტის ხორეოგრაფიის სტუდიაში დაიწყო დამატებითი მიღება საზაფხულო სემესტრზე. მაცადინეობის პროგრამაში შეტანილია: აკადემიური ბალეტის ტენიკა, რიტმიკა, პლასტიკა, ცეკვის კომპოზიცია, მუსიკის თეორია და მიმოღრანა.

— **„თეატრი“.** იბეჭდება და ახლო ხანში გასასყიდათ გამოვა დავით კასრაძის წიგნი „თეატრი“.

### რ უ ს ე თ ი

■ **მოსკოვის კამერული თეატრი საზღვარგარეთ.** მოსკოვის კამერული თეატრი ა. თაიროვის ხელმძღვანელობით ამჟამათ ევროპაშია, სადაც ის გასტროლებს მართავს სხვადასხვა ქალაქებში. თეატრს ყველგან აღფრთოვანებით ხვდებიან.

■ **ტენორ ლიბეცკის გარდაცვალება.** მოსკოვში ხანძალიანი ნერვიული ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტენორი ლიბეცკი, რომელსაც კარათ იცნობდა თბილისი, სადაც ის რამოდენიმე სეზონი მღეროდა.

■ **მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეპერტუარი.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის მომავალი სეზონის რეპეტუაში შეტანილია შემდეგი პიესები: „პუგაჩოვშინი“ — ტრენევის, ცხელი გული — ოსტროვსკის, „პრომეთე“ — ესხილის (კაჩალოვის მონაწილეობით), პუშკინის — „ქვის სტუმარი“ და „ძუნწი რაინდი“ და „ფიგარის ქორწილი“ — ბომარშეს (სტანისლავსკის დადგმა).

■ **ახალი თეატრი.** მოსკოვში გაიხსნა თეატრი სახელწოდებით „დღეს“, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ბასი.

თეატრი მიზნათ ისახავს საბჭოთა ყოფაცხოვრების ასახვას.

■ **მსახიობ ვ. ა. შუშინის გარდაცვალება.** მატარებლის დამსხვრევის დროს დაიღუპა მცირე თეატრის მსახიობი ქალი ვ. ა. შუშინი. განსვენებულს, სხვათა შორის, უთამაშნია თბილისის სცენაზეც.

■ **„გოსკინოს“ ექსპედიცია** კავკასიაში კავკასიაში მოემგზავრება გოსკინოს ექსპედიცია, რომელიც აქ გადაიღებს ორ სურათს: „აბრეკი საბრი“ და „აღათის გავლენის ქვეშ“. სტოგრაფიულ, ხელმძღვანელათ მოწვერელათ სცენარის ავტორი აშხ. აში.